



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 2

2013 წლის 9 იანვარი
ქალაქი ხაშური

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის N1453 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 19 სექტემბრის N170 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის N1453 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშ 102 787 ლარის ფარგლებში განხორციელდეს ქალაქ ხაშურში კოსტავას ქ. #32-ში (18) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და გარე ფასადის სარემონტო-სამღებრო სამუშაოები.
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

